



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №27

22 დეკემბერი 2017 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის  
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“ შექმნის  
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №06 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად - 2017 წლის 22 დეკემბრიდან - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ დაფუძნება და ფრაქციის თავმჯდომარედ მათა მარკოზაშვილის, ხოლო მოადგილედ გიორგი ქიზიყელაშვილის არჩევა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილ თხლაშიძე